პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! ოთხშაბათი, 23 აპრილი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 483 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## მტკიცედ შევასრულოთ მისი ანდერძები.

დღეს 54 წელი შესრულდა მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღიდან.

მხოლოდ სამმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც ის მშრომელმა ქვეყანამ დაკარგა. მაგრამ მისი სული, მისი აზრები ცოცხალია თითეულ ჩვენთაგანში.

მოკვდა ლენინი, მაგრამ მან დასტოვა ლენინიზმი.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხ. ლენინმა მოახმარა მუშათა კლასის კაპიტალისა და ბურჟუაზიისაგან, მონობისაგან განთავისუფლების საქმეს.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით განვითარდა და აღიზარდა რუსეთის მუშათა კლასის შეუდრეკელ და ძლევამოსილი ავანგარდი—რუსეთის კომუნისტური პარტია. ამხ. ლენინის მეთაურობით ოქტომბრის დღეებში წავიდა გადამწყვეტ ბრძოლაზე მუშათა კლასი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და კიდევაც დაამარცხა ის. ამხ. ლენინის დაუღალავ ენერგიით იქნა დაარსებული მსოფლიო რევოლიუციის შტაბი—კომინტერნი. მისი სწორ ხელმძღვანელობით აცილებულ იქნა ყოველგვარი საშიშროება და დაბრკოლებები, რის შემდეგ საბჭოთა გემი მიადგა მშვიდობიან ცხოვრების განმტკიცების და აყვავების ნაპირებს. მთელი მისი სიცოცხლე შეურიგებელი ბრძოლა იყო ბურჟუაზიულ სამყაროსთან, კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, კაპიტალისტურ ჩაგვრასა და მონობასთან.

მას შეეძლო არა მარტო ბარიკადებისაკენ მოწოდება, ის გვასწავლიდა პროლეტარულ სახელმწიფოს აშენებას და მის მართვა-გამგეობას

არა ადამიანურმა, განუზომელმა მუშაობამ მოსტეხა მისი აგებულება და მიიყვანა სამარის პირამდე.

მაგრამ ლენინმა შესძლო თავისი საქმის გაკეთება. მას მოესწრო ოქტომბრის გამარჯვების ნაყოფი, მან დაუტოვა განუზომელი მემკვიდრეობა დიდ საბჭოთა კავშირის გამარჯვებულ მუშა და გლეხს და კაპიტალისტური ქვეყნების ამბოხების გზაზე დამდგარ პროლეტარებს. ბელადის გარდაცვალებამ, მისი უდიდესი საქმე დაავგვირგვინა. მუშათა მასები არამც თუ არ შედრკენ მისი დაკარგვით, არამედ უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგები და მტკიცედ იცავენ ბელადის ანდერძებს; შეუდრეკელი ნაბიჯით, ლენინიზმით გამსჭვალული წინ მიიწევენ სოციალიზმისაკენ. ბელადის გარდაცვალებას პროლეტარიატმა უპასუხა თავისი ერთგულებით, მის დიდ საქმისადმი,—ლენინის პარტიაში მან გაგზავნა თავისი საუკეთესო ძალები.

მისი დაბადების დღეს, ვიხსენებთ რა ნახევარ საუკუნიან ცხოვრებას და მოღვაწეობას, აღსავსეს ცხარე ბრძოლით და შეუდრეკელ რწმენით კომუნიზმის საბოლოვო გამარჯვებაში,—ჩვენ ერთხელ კიდევ ფიცსა ვსდებთ, რომ ერთგული ვიქნებით მისი ანდერძებისადმი და მტკიცედ გავატარებთ მას ცხოვრებაში.

# რადიო-დეპეშები

— **გერმანიაში მუშათა გაფიცვები ფართე ხასიათს იღებს. პროფკავშირთა ბიუროკრატიული ბელადები იძულებულნი არიან აჰყვნენ მუშათა მოთხოვნილებებს და აქტიობა გამოიჩინონ.**

- **ვაშინგტონის მთავრობამ დაადგინა არ მიიღოს არავითარი საერთაშორისო ჩარევა საემიგრაციო კანონის საქმეში, თუნდაც რომ ეს გამოდიოდეს ერთა ლიგის ან უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსაგან.**

— **ქართულ სამხედრო გზის რაიონში დიდი თოვლი მოვიდა. ჩამოწვა უზარმაზარი ზვავები. მოძრაობა შეჩერებულია.**

## საბჭოთა კავშირი

**ამხ. ტროცკის სიტყვა სრულიად კავშირის რკინისგზელთა ყრილობაზე.**

**ინგლის-საბჭოთა შეთანხმება ევროპისათვის.**

„მეტად მწვავე საკითხს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობისა წარმოადგენს ამ ჟამად ჩვენი მოლაპარაკება ინგლისთან. აქ ჩვენ ვიმყოფებით მეტად გაურკვეველ მდგომარეობაში, რომელშიაც გამოსჭვივის ევროპის პოლიტიკის გაურკვევლობა საერთოდ, და კერძოდ ინგლისის მენშევიკური მთავრობისა.

სესხი, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ, მეტად ხელსაყრელია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ევროპისთვის, მათ რიცხვში ინგლისისათვისაც. ინგლის სჭირდება ბაზარი: ინგლისის საგარეო ვაჭრობა ძლივს აღწევს ომამდე არსებულ ვაჭრობის სამ მეოთხედს. ევროპა გაღარიბდა, ჩვენ კი კოლოსალურ ბაზარს წარმოვადგენთ, რომელიც აღემატება მთელ ინგლისის კოლონიებს. ფართე კრედიტის პირობებში, თუ კი მოგვეცემოდა ჩვენ, დამყარდებოდა სამეურნეო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხსბს შორის ერთის მხრივ, და ინგლისის მუშათა კლასს შორის—მეორე მხრივ. ეს გააძლიერებდა ევროპის მეურნეობას და შესცვლიდა მის ეკონომიურ სახეს: ჩვენ შევძლებდით პუანკარეს მილიტარიზმის ჩახშობას, რომელიც სცდილობს დღეს ევროპის დაღრჩობას.

**მსოფლიო ბურჟუაზიის უჭკუობა.**

მთელი ქვეყანა ომის შემდეგ კი არ გაღარიბებულა, შედარებით გამდიდრდა. ამერიკაში დაგროვდა ისეთი სიმდიდრე, რომელიც არ მოსწრებია წარსულ საუკუნეებსა და თაობას. ამერიკას ყოველდღიურად შეაქვს ახალ-ახალ სამრეწველო დაწესებულებაში 17-17 მილიარდი მანეთი. ამერიკამ არ იცის სად მოათავსოს ეს ფულები. ინგლისის ზედმეტი ფული, რომელიც შეიძლება მიეცეს საგარეო სესხ, ერთ მ-რდ ოქროს უდრის მანეთს. მაგრამ ამერიკა არც გერმანიას და არც ჩვენ ფულს არ გვაძლევს, ვინაიდან ის არ ენდობა ევროპას, რადგანაც ამერიკას ინგლისის გარდა, ვალებს არავინ არ აძლევს.

ამერიკას ვერ გაუგია, რა ანგარიშია მისთვის მისცეს ფული ევროპას, რომელიც არ იხდის ძვე ვალებს, ამერიკას ვერ გაუგია ის, რომ ის სესხს აძლევდა ევროპას, ევროპის დასანგრევად, გასანადგურებლად, რომლის შემდეგ ამერიკა გამდიდრდა ევროპის დანგრევის, ევროპის ძარცვის ხარჯზე სრულიად ბუნებრივია, რომ ევროპას არ შეუძლია ვალები გადაუხადოს ამერიკას. რომ სესხი მისცემოდა ევროპას სამეურნეო აღორძინების მიზნით, იმ შემთხვევაში მას შეეძლებოდა გადახდა. ჩვენც გადავიხდით, ვინაიდან სესხი აღორძინებისთვის მოცემული მოგვცემდა საშუალებას აღგვედგინა რკინისგზის ქსელი, გაგვემტკიცებია ოქროს ვალიუტა, გაგვედიდებია შრომის ხელფასი, გაგვევითარებია მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

დიდი სესხის მიღებით ჩვენ შევეძლო 3—5 წლის განმავლობაში გავმხდარიყავით მეტად ძლიერი ქვეყანა, რომელიც შესძლებდა თავის ვალდებულების ასრულებას. ამერიკა არ გვაძლევს სესხს არა მარტო ჩვენ არამედ მთელ ევროპას, ვინაიდან მას არ სწამს ბურჟუაზიული ევროპის მუდმივობა, ვინაიდან ბურჟუაზიული ევროპაც ვერ იხდის ვალებს. ეს ბურჟუაზიის ზღაპრული უჭკუობაა.

**ბურჟუაზია იძლევა ფულებს ომისათვის და არა მშვიდობიანობისათვის.**

ევროპა ფულს სთხოვს, თუმცაღა ძველ ვალებს მას არ აძლევს: იმიტომ რომ ძველი სესხი მიცემული იყო ევროპის დასანგრევად და მას ძველ საფუძვლებზე გადახდა არ შეუძლია თუ ამერიკა მისცემს ევროპას სესხს მეურნეობის გასაძლიერებლად, იმ შემთხვევაში ევროპა გადაიხდის ვალს,, ვინაიდან მას ექნება რესურსები, საიდანაც შეეძლება გადახდა. ამასვე ვამბობთ ჩვენც. ვაძლევთ თუ არა ჩვენ ვალებს ბურჟუაზიის საუკუნეების დასასრულამდი? ჩვენ გადავიხდით მანამ, სანამ ბურჟუაზია იარსებებს ქვეყანაზე. სანამ არსებობს ბურჟუაზია, ჩვენ იძულებული ვართ მასთან გვქონდეს საქმე. ჩვენ დაინტერესებული ვართ მის ნდობაში. სანამ ჩვენ დაინტერესებული ვართ მის ნდობაში, ჩვენ იძულებული ვართ ვიხადოთ სესხი, რომელიც ჩვენ გვსურს სახელმწი-

## მეტი ყურადღება სამხედრო კოოპერაციას.

ერთ ერთი მთავარი ფაქტორთაგანი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ფულის რეფორმის ჯეროვნად ჩატარებას არის კოპერაცია.

კოოპერაციის გაძლიერება, მისი გაჯანსაღება—აი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი დამკვრელი ამოცანა.

დღემდის სამწუხაროდ მუშურ-გლეხური ხელისუფლება ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას კოოპერაციას.

როგორც გამოირკვა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ ანგარიშებიდან სახელმწიფო თურმე მეტ დახმარებას და შეღავათს აძლევდა კერძო სავაჭრო კაპიტალს, ვიდრე კოოპერაციას.

ამავე დროს საბჭოთა ნიშნების და ბონების სწრაფი დაცემა ხელს უშლიდა კოოპერაციას გაეშალა ფრთები და მტკიცედ შებრძოლებოდა კერძო კაპიტალს შინაურ ბაზარზე.

აი ასეთმა არა ნორმალურმა მოვლენებმა ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის სფეროში გამოიწვია ის, რომ კოოპერაცია ვერ არის საკმაოდ ძლიერი და ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, როგორც ეს საჭიროა.

დღეიდან კი შეუძლებელია ასე გაგრძელდეს.

ფულის რეფორმის ნაყოფიერად ჩატარება ავალებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ყველა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებს, ყველა მშრომელთ მთელი თავისი ყურადღების ცენტრი გადაიტანონ კოოპერატიულ ფრონტზე, რადგან ერთ ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ფრთები შეუკვეცოს კერძო სავაჭრო კაპიტალის თარეშს ჩვენ შინაურ ბაზარზე—არის კოოპერაცია.

საჭიროა, რომ ყველა ტრესტებმა და სინდიკატებმა საფუძვლიანად გადაშინჯონ თავისი სავაჭრო პოლიტიკა და შეღავათიან პირობებში მიაწოდონ კოოპერაციას სახელმწიფო მრეწველობის ფაბრიკატები; დღემდის კი ტრესტები უმთავრესად ასაღებდენ საქონელს კერძო ვაჭრების საშვალებით.

გარდა ამისა საჭიროა უმთავრესად სახელმწიფო სესხით და სხვა და სხვა პრივილეგიებით სარგებლობდეს კოოპერაცია.

ყოველივე ეს საშუალებანი უნდა მიეცეს აგრეთვე ჩვენ სამხედრო კოოპერაციას, რომელიც ისეთივე, ვიტყვით უფრო უარეს პირობებში იმყოფებოდა ამ მხრივ ვიდრე სამოქალაქო კოოპერაცია.

სამხედრო კოოპერაციას დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს, როგორც წითელი ჯარისათვის, ისე მთელ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. სამხედრო კოოპერაცია ერთ ერთ საშვალებათაგანია რომლის მეოხებით საბჭოთა მთავრობას გაუადვილდება კოოპერატიული მუშაობის გაფართოება ჩამორჩენილ სოფელში.

ამიტომაც არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ სამხედრო კოოპერაციასაც და მიაწოდოს მას ისეთივე შეღავათები, როგორც სამოქალაქო კოოპერაციას.

მაგრამ ამით არ ამოიწურება კოოპერაციის და კერძოდ სამხედრო კოოპერაციის გაჯანსაღების საქმე. სამხედრო კოოპერაციამ რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პირველადებს და ხელი შეუწყოს მათ გაფართოებას და თვითმოქმედების გაღრმავებას. საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე სამხედრო კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღებას, მის გამარტივებას. კოოპერაცია მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას, როდესაც ის მარტივი, ელასტიური და მოქნილი იქნება.

ყველა ამ პირობებში შესაძლებელი იქნება კოოპერაციამ სძლიოს კერძო ვაჭრობის შემოტევას შინაურ ბაზარზე და დაამარცხოს ის.

კერძოდ სამხედრო კოოპერაციამ მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი წითელი ჯარის სამომხმარებლო ინტერესები და ამ დიდ საქმეში მას უნდა დაეხმაროს ისეთივე ენერგიით, როგორც სამოქალაქო კოპერაციას მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ფოს საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ეკონომიური გარანტია—ჩვენი დაინტერესებაა; პოლიტიკური გარანტია არის ის, რომ ჩვენ ერთ ერთი ძლიერი სახელმწიფოთაგანი ვართ მსოფლიოში (ხოლო ამას არც ისინი უარყოფენ).

**ევროპა გზა-ჯვარედინზე.**

მსოფლიო გარემოება დღეს ისეთია, რომ არ არის საბუთი იმისა, რომ მაკდონალდი წავა რაიმე მსხვილი ხასიათის საქმიან შეთანხმებაზე. ლონდონის მოლაპარაკებასთან ერთად სწარმოებს სარეპარაციო მოლაპარაკება, სადაც სდგას საკითხი გერმანიის სესხის შესახებ. გერმანიაზე სესხის მიცემა ნიშნავს ძლიერი კონკურენტის შექმნას ინგლისისათვის. სესხის მიღებით გერმანია აღადგენს მრეწველობას და გამოუშვებს ბაზარზე 50—75%-ით მეტ საქონელს, ვინემ დღეს, რაიც აუცილებლად გამოიწვევს ინგლისის სამრეწველო კრიზისს.

თუ გერმანიას უარს ეტყვიან სესხზე, გერმანიის მარკა დაეცემა, უმუშევრობა გაიზრდება, სამუშაო ხელფასი დაეცემა, საჭირო პროდუქტების ფასები გაიზრდებიან და 2—3 თვის შიგნით, მაქსიმუმი—6 თვის შიგნით გერმანიაში კვლავ შეიქნება ისეთი გარემოება, მსგავსად იმისა, როგორიც არსებობდა გერმანიაში ერთი წლის უკან, როცა გერმანია იდგა რევოლიუციის კარებთან. ევროპა სდგას მძიმე ამოცანის წინაშე: გერმანიის მრეწველობის დახმარება გამოიწვევს ეკონომიურ კრიზისს ინგლისსა და საფრანგეთში. თუ პუანკარე კვლავ გააგრძელებს გერმანიის მეურნეობის შევიწროებას, ეს გამოიწვევს ახალ რევოლიუციონურ ტალღას გერმანიაში.

**საჭიროა ყურადღებით ვიყოთ.**

ევროპის ცვალებადი მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ ჩვენი მეურნეობის აღდგენასთან ერთად,—სრული ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე ჩვენს შეიარაღებულ ძალას. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა. ევროპაში დღეს იმდენი ჯარის კაცია, რამდენიც იყო 1914 წელში, მსოფლიო ომის წინ; ომის საფრთხე—არა ნაკლებია, ხოლო სამხედრო განადგურების საშუალებანი თან და თან იზრდება, აქედან გამომდინარეობს ჩვენი ბუნებრივი შიში. ჩვენ ტეხნიკური მხრივ შედარებით სუსტი ვართ, ხოლო ტეხნიკა კი დიდ როლს თამაშობს. მაგრამ, ომში ტეხნიკა ცოცხალ ძალას ეყრდნობა. ჩვენი დიდი უპირატესობა, ყოველგვარ ეჭვს გარეშე იმაში მდგომარეობს, რომ თუ როგორ მოიხმარს თავს ჩვენი მუშათა კლასი და გლეხობა, იმ შემთხვევაში თუ შეტაკება მოგვიხდება იმპერიალისტურ არმიასთან.

**ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი არმიისა.**

დეე, პუანკარემ გვიპასუხოს დაბეჯითებით—როგორ დაიჭერს თავს პარიზის და ლიონის მუშა, მელითონე, რკინის გზელი, იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდება ჩვენთან?

პუანკარე არ გვიპასუხებს, ის დაეჭვდება. თუ ჩვენ გვკითხავენ—როგორ დაიჭერს თავს ჩვენი რკინის გზელები, ჩვენი ფეიქრები, ჩვენი გლეხები იმპერიალისტურ არმიასთან ომის შემთხვევაში,—ჩვენ უპასუხებთ დარწმუნებით, ერთ წუთსაც არ დავფიქრდებით. ამ დარწმუნებამ ჩვენ საშვალება მოგვცა გადავსულიყავით ყაზარმულ საველე არმიიდან—მილიციონურ-ტერიტორიალურ სისტემის ჯარზე.

მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია ვაუმჯობესოთ ჩვენი ტეხნიკა და რკინის გზის ტრანსპორტი, რომლებიც ომში, საერთოდ ტერიტორიალურ არმიის დროსაც, განსაკუთრებით, დიდ როლს თამაშობენ.

**მეტი ყურადღება სამხედრო ქიმიას.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდი მიაქციოდ სამხედრო ქიმიას. ჩვენ შევქენით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, რომლის დახმარება დიდია. ასეთი ნებაყოფლობითი დახმარება გვესაჭიროება ჩვენ ქიმიის დარგშიაც, სამხედრო ქიმია მტკიცედ არის დაკავშირებული საზოგადო ქიმიასთან. არ შეიძლება არც გაზების, არც ანტიგაზების დამზადება, თუ არ იქნება ქიმიური ლაბორატორიები უნივერსიტეტებსა და სამრეწველო დაწესებულებებთან, თუ არ იქნება ქიმიური ქარხნები. ქიმიური წარმოება დიდ როლს თამაშობას არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ ჩვენი მეურნეობის აღორძინების საქმეშიაც.

ქიმიური მრეწველობისადმი ინტერესების გაძლიერება,—მრეწველობის და მეურნეობის თვალსაზრისით, ერთის მხრივ და მეცნიერულ—მეორე მხრივ—ერთი უმთავრეს ამოცანათა განია ჩვენი თავდაცვის საქმეში.

**რკინისს გზისა და სამხედრო ქიმია.**

ამ მხრივ რკინის გზელებმა მაგალითი უნდა მისცენ სხვებს, ვინაიდან მტერი პირველ რიგში რკინის გზის მიმართულებით შემოუტევს, სადაც ჯარის კაცის გვერდით იდგომება რკინის გზელიც. ამიტომ რკინის გზელთა პროფკავშირებმა პირველ რიგში უნდა დააყენონ ქიმიის, გაზების, ანტიგაზების სამხედრო მეცნიერული პროპაგანდის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე.

რკინის გზელთა კავშირებმა უნდა შექმნან გაზის საწინააღმდეგო უჯრედები რკინის გზებზე. ყოველ ქსელზე, ყოველ სადგურზე, რომლებიც ახლოს არიან შესაძლებელ ფრონტიდან, უნდა შექმნილ იქნას ასეთი უჯრედები იმ პირებისაგან, რომლებმაც იციან—რა არის თვით მფრინავი, გაზი, ბომბა,—ე. ი. ისეთი პირებისაგან, რომლებიც არ დაიბნევიან. არმიის ბედი-ქვეყნის ბედია; გაზი თავად საფრთხილოა, მაგრამ ასჯერ მეტი საფრთხილოა, როცა ის იწვევს პანიკას.

აი რად აქვს წითელ არმიას მეტი იმედი რკინისგზელებზე და გესალმიბათ თქვენ შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს წითელ რკინისგზელებს“.

# გერმანიის ამბები

**რევოლიუციონური ტალღა გერმანიაში,**

**შუა გერმანიის სამთო-მადნო მუშათა მოძრაობა.**

მანსფელდის სამთო სამრეწველო დაწესებულებებში გაიფიცენ მუშები ხელფასის გადიდების გარშემო.

სამთო სამრეწვლეო დირექციამ გამოაცხადა გაფიცულები დათხოვნილად და დაემუქრა დათხოვნით ყველა მუშებს. შუა გერმანიის სამთომადნო მუშები ოპოზიციონურ ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ხელმძღვანელობის ქვეშ ამზადებენ ბრძოლას მეპატრონეების წინაალმდეგ შუა გერმანიის ყველა ნახშირის სამრეწველოებში; ეს მოძრაობა ამაგრებს რურის მუშების პოზიციას, რომლებიც მოითხოვენ 7 საათის სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას 10 პროცენტით.

**პროფკავშირთა ბელადების იძულებითი აქტივობა.**

მთელ გერმანიის სხვა და სხვა სამრეწველო დარგებში შემჩნეულია ბრძოლის გაძლიერება ხელფასის და სამუშაო დღის გარშემო, რაიც იძულებულს ხდის პროფკავშირთა ბიუროკრატიას გამოიჩინოს ერთგვარი აქტივობა.

# ლენინი რელიგიის შესახებ.

**რელიგია—სასულიერო „სივუხა“*) რელიგია მონობის ერთ ერთი სახეა დაუზოგავი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ.**

ამხ. ლენინს არ შეეძლო გვერდი აევლო ისეთი დიდი საკითხისათვის, როგორიც არის რელიგია. 1905 წ. რამოდენიმე დღით ადრე დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე, მან მოათავსა პიტერის გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ წერილი „სოციალიზმი და რელიგია“, რომლის ძირითადი აზრი დღესაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის.

რა არის რელიგია, როგორია მისი მნიშვნელობა ლენინის აზრით? ამაზე ის უპასუხებს:

რელიგია არის სასულიერო ჩაგვრის ერთ-ერთი სახე, რომელიც თავს აწევს ყოველგან სახალხო მასებს, რომლებიც წამებული არიან სხვისთვის საუკუნო მუშაობით და რომლებიც გაჭივრებასა და სიმარტოვეს განიცდიან. ჩაგრულ კლასების უმწეობა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში ჰბადებს აგრეთვე რწმენას უკეთეს საიქიო ცხოვრებაზე, როგორც ველური ადამიანის უსუსურობა ბუნებასთან ბრძოლაში ჰბადებს რწმენას ღმერთების, ეშმაკების და სასწაულების არსებობაში და სხვა. იმას, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში და ანუგეშებს იმედით ზეციურ ჯილდოზე. ხოლო იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, რელიგია ასწავლის ამ ქვეყნად ქველმოქმედებას და ანიჭებს მათ ერთობ იაფ-ფასიან გამართლებას ექსპლოატაციით ცხოვრებაში და აძლევს მას ხელსაყრელ ფასებში ბილეთს ზეციურ სიკეთეზე, რელიგია არის ხალხის ოპიუმი.

რელიგია არის სასულიერო „სივუხა“-ს მსგავსი სასმელი, რომელშიაც კაპიტალის მონები ახრჩობენ თავის ადამიანურ სახეს, თავის მოთხოვნილებებს ადამიანური ცხოვრებისათვის.

„მაგრამ მონა, რომელსაც შეუგნია თავისი მონობა, და ამხედრებულა თავის განსათავისუფლებლად, ის ნახევრად თავს ახწევს მონობას. თანამედროვე შეგნებული მუშა, აღზრდილი მსხვილ საფაბრიკო მრეწველობაზე, განათლებული ქალაქის ცხოვრებით, ზიზღით იშორებს თავიდან რელიგიურ ბოდვას, უთმობს ზეცის სამღვდელოებას და ბურჟუაზიულ მკითხავებს და თან და დან იუმჯობესებს ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. თანამედროვე პროლეტარიატი გადადის სოციალიზმის მხარეზე, რომელიც მოუწოდებს მეცნიერებას რელიგიურ ბურუსის წინააღმდეგ ბრძოლაში და ანთავისუბლებს მუშას საიქიო ცხოვრების რწმენისაგან იმით, რაც აკავშირებს მას ნამდვილ ბრძოლაში საუკეთესო სააქაო ცხოვრებისათვის.“

რელიგიას ჩვენ ვსთვლით კერძო საქმედ: მაგრამ აქედან ბევრს ასეთი ყალბი დასკვნა გამოჰქონდა: თუ რელიგია არის თითეულისათვის კერძო საქმე, მაშინ კომუნისტსაც შეუძლია იწამოს, ან არა, და პარტიას მასთან საქმე არ აქვს. ცხადია ეს არ არის სწორი შეხედულება.

სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია არ არის კერძო საქმე.

ჩვენი პარტია არის შეგნებულ მოწინავე მებრძოლთა კავშირი მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად.

ასეთ კავშირს არ შეუძლია და არც უნდა მოეპყრას განურჩევლად შეუგნებლობას, სიძნელეს როგორიც არის რელიგიური რწმენა. მაშასადამე, პარტიის წევრს არ შეუძლია სთქვას: იდეური ბრძოლა რელიგიასთან არ არის ჩემი მოვალეობა. იმათ, ვინც ფიქრობდა, რომ ჩვენ პარტიას შეუძლია გვერდი აუხვიოს ანტი-რელიგიურ პროპაგანდას ამხ. ლენინი უპასუხებდა:

„მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულს და მასთან სახელდობრ მატერიალისტურ სოფლმხედველობაზე. ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად შეიცავს აგრედვე რელიგიური ბურუსის ჭეშმარიტ ისტორიულ და ეკონომიურ საფუძვლების განმარტებას“.

ამასთან ერთად ამხ. ლენინი გვაფრთხილებს ჩვენ გატაცებისაგან, თითქოს მარტო ანტირელიგიური პროპაგანდით შეიძლებოდეს რელიგიის მოსპობა. მისი ძირი ეკონომიურ, სოციალურ მონობაშია. ამიტომ ამხ. ლენინი, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვიკრებდით ძალებს საბრძოლველად, წინააღმდეგი იყო იმის, რათა წამოგვესკუპებია რელიგიის საკითხი პირველ ადგილზე.

„სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ საზოგადოებაში, რომელიც აგებულია მუშათა მასების დაუსრულებელ ჩაგვრასა და დაბრმავებაზე, შეიძლებოდეს უბრალო ქადაგების გზით მოსპობილ იქნას რელიგიური ბურუსი. ბურჟუაზიული უვიცობა იქნებოდა გაგვევიწყებია ის, რომ რელიგიური ჩაგვრა კაცობრიობაზე არის ნაყოფი და ანარეკლი საზოგადოების ეკონომიური ჩაგვრისა. არავითარი წიგნებით და არავითარი ქადაგებათ არ შეიძლება პროლეტარიატის განათლება, თუ მას არ გაანათლებს თავისი საკუთარი ბრძოლა კაპიტალიზმის შავი ძალების წინააღმდეგ“.

წავიდა 1917 წლის ქარი-შხალიან-ცეცხლიანი ოქტომბერი. აქამდის გავიდა მუშათა კლასის ბრძოლის, გამარჯვებისა და დამარცხების 12 წელი. ეკლესიის სამრეკლოებიდან ტყვია მფრქვევებით ხვრეტდენ მუშებს. ზარბაზნების ქუხილში, ყუმბარების გრიალში და ტყვიების ზუზუნში ისმოდა მღვდლების ღაღადი რათა გამარჯვება მისცემოდა „კეთილ მორწმუნეებს.“

ხოლო იმის სახელს, ვინც მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა აჯანყებისაკენ ამ ბრძოლის წინააღმდეგ მის წარმომშობთა წინააღმდეგ, აფურთხებდენ და ქვა და გუნდას აყრიდენ. ხოლო ის მიდიოდა წინ ამ შეურაცხმყოფელთა შორის და ქადაგებდა თავის ცეცხლოვანი სიტყვით და მოუწოდებდა აჯანყებისაკენ.

და დადგა დღე. პირველი დღე საბჭოთა მთავრობის დაარსებისა ქვეყანაზე.

წყევა-კრულვით და შეიარაღებული ბრძოლით გამოეხმაურა ეკლესია რევოლიუციის გამარჯვებას. ხარბად ჩასჭიდა ხელი შემოსავალს, სიმდიდრეს, განძეულობას. მაგრამ რევოლიუცია არ შეჩერდა მეფის სასახლეების წინაშე, დაანგრია კაპიტალიზმისა და მემამულეების მრავალ საუკუნიანი სიმაგრეები.

რევოლიუციამ არამც თუ აღიარა, არამედ გაატარა ცხოვრებაში სრული გამოყოფა ეკლესიის სახელმწიფოსაგან, სკოლის—ეკლესიისაგან. იქნებ ეხლა დრო იყოს შევწყვიტოდ ანტირელიგიური პროპაგანდა, დავსტოვოდ ის მისთვის?

ამხ. ლენინი ხედავდა, რომ ჯერ კიდევ მრავალი წელი დარჩენილა მშრომელთა სრულიად განთავისუფლებამდი. ხოლო რელიგია მონობის ერთ-ერთი სახე ჯერ კიდევ ბატონობს მილიონ მუშათა და გლეხთა შეგნებაზე. და აი ის კვლავ აყენებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

ვინაიდან ლენინმა იცოდა, რომ ზოგიერთი ამხანაგი არა სათანადოდ ეპყრობოდა ამ ამოცანას, ის სწერდა მაშინ, რომ არ შეიძლება დავმშვიდდეთ იმ მოსაზრებით, რომ რელიგიური სარწმუნოება თავისთავად მოკვდება, გაქრება, თუ რომ საერთოდ იწარმოებს და გავრცელდება მარქსისტული განათლება. არ შეიძლება დავივიწყოდ განსაკუთრებული ამოცანა—მუდმივი, სისტემატიური ანტირელიგიური ქადაგების შესახებ.

„დიდი და მეტად ცუდი შეცდომა იქნებოდა მარქსისტისთვის,—ეფიქრა, რომ მრავალ მილიონიანი ერები (განსაკუთრებით—გლეხობა და ხელოსანთა მასები), რომლებიც აღზრდილი არიან სიბნელესა, უვიცობასა და ცრუმორწმუნეობაზე, შეიძლება განთავისუფლებულ იქნან მხოლოდ მარქსისტული განათლების სწორი გზით. ამ მასებს აუცილებლად უნდა მიეცეს სხვა და სხვა მასალა ანტირელიგიურ პროპაგანდისათვის, უნდა გაცნობილ იქნან ცხოვრების სხვა და სხვა ფაქტებს, უნდა მიუდგე მათ ყოველი მხრივ, რათა დააინტერესო, გამოაფხიზლო რელიგიური სიზმარისაგან, შეანძრიო უნდა სხვა და სხვა მხრიდან, სხვა და სხვა საშვალებით.

ამხ. ლენინის სახით მოგვშორდა სასტიკი მოწინააღმდეგე ყოველივე იმისა, რაც ხელს უშლიდა მუშისა და გლეხის განთავისუფლებას. მან დაგვიტოვა ჩვენ საქმეთა და აზრთა მდიდარი სამემკვიდრეო. მან დაგვიტოვა ჩვენ თავისი ანდერძი, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოდ. ჩვენ მისი მოწაფეები შევსძლებთ ამას, თუ ისე, როგორც ის, გონივრულად მოვეპყრობით ყოველივე იმას, რაიც ეხება მუშებსა და გლეხებს, ისე როგორც ის, ვიქადაგებთ მატერიალიზმს, რომლის ერთ-ერთ სავალდებულო სახეს წარმოადგენს ურწმუნოება.

(კრასნი ვოინ)

ე. იაროსლავსკი.

*) მათრობელა სასმელი.




## ცალკე საკავშირო ასეულ-ში.

19 აპრილი.

ასეულის სამკითხველოში მოხდა კომუჯრედის ღია კრება, სადაც დაესწრენ, როგორც პოლიტ-შემადგენლობა, ისე წითელ-არმიელები და უფ-შემადგენლობის ერთი ნაწილი.

თავმჯდომარეობდა ამხ. ნემოვი.

დღის წესრიგში იყო:

1. ბიბლიოთეკის ანგარიში (იანვრიდან დღევანდლამდე).

2. ახალგაზრდათა კომკავშირის შობა.

3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბიბგამგემ, ამხ. ჩხიკვიშვილმა, რომლიდანაც სჩანდა, რომ ჩვენს ასეულში საბიბლიოთეკო საქმე და მუშაობა მდგარა თავის სიმაღლეზე, რისთვისაც კრებამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნ. გიორგაძე, რომელმაც დაასურათა ქრისტიანობა და კერძოდ აღდგომის წარმოშობის ისტორია. ისტორიული ანალიზით და გასაგებ ენით დაასურათა მისი შექმნა გაბატონებულ კლასების მიერ მშრომელთა დასაჩაგრავად, გააშუქა მეცნიერული მიდგომით და მოუწოდა დამსწრეთ, ჩვეულებრივ აღდგომის მაგიერ, იდღესასწაულონ ახალგაზრდა კომკავშირელების აღდგომა და ყოველი მხრით ჩაებან ამისთვის მზადებაში.

თანამომხსენებლად გამოვიდენ ამხ. ამხ. ჩხიკვიშვილი და მაჩიტაძე.

ამ მოხსენებამ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ორატორებიც მხურვალე ტაშით იქმნენ დაჯილდოვებულნი,

მესამე, მიმდინარე საკითხში იყო სხვა და სხვა საკითხები, მაგრამ იმსჯელეს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მოეწყოს ექსკურსიები, ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურში და სხვაგან, რისთვისაც დაადგინეს სთხოვოს სამხკომს ამისათვის ზრუნვა, რომლის შემდეგ დაიხურა კრება.

ს—ნი.

## მისაბაძი მაგალითი.

7-დე ქართულ გაერთიანებული მეთაურთა სამხედრო სკოლა.

ამავე სკოლის საარტილერიო განყოფილების „ლენინის კუთხე“ თუმცალა არ ჩამორჩება სკოლის ასეულების და განყოფილებების „ლენინის კუთხეებს“, მაგრამ მრავალი ნაკლი აქვს. ამის ასაცილებლად ამავე განყოფ. კურსანტები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ რითაც კი შეიძლება. ჩვენს კუთხეს მოსდის სამი თუ თუ ოთხი გაზეთი და აგრეთვე მოიპოვება რამოდენიმე ცალი პოლიტიკურ, ლიტერატურულ და სამხედრო ხასიათის წიგნები. მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს ზემო-მოხსენებულ კუთხეს. ამიტომ ამავე განყ. მათემათიკის მასწავლებელმა ივანე მაჩაიძემ გამოიწერა „ლენინის კუთხისათვის“ ორი გაზეთი „კომუნისტი“ და „მუშა“, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

მეც ვწირავ ამ კუთხეს სამოცცალ სხვა და სხვა შინაარსიან პოლიტიკურ ხასიათის წიგნებს. ვიწვევ აგრეთვე შემდეგ ამხ. რათა იმათაც გაიღონ ცოტა რაიმე წვლილი „ლენინის კუთხისათვის“.

ამავე განყ. ბატარეის უფროს დავით ქარუმიძეს, თანაშემწეს სერგო ლორთქიფანიძეს, პოლიტ-ხელს ტერენტი შელიას, მწყობრის თავებს ამხ. ვახტანგ ბაქრაძეს და კოტე ლესელიძეს, საარტილერიო განყ. მათემათიკის მასწავლებელს ივანე გვარამიშვილს. აგრეთვე შემდეგ კურსანტებს; სიმონ ბაბალოვს და მიხა ნიორაძეს.

საჭირო იქნება „ლენინის კუთხისათვის“, რომ ზემო ჩამოთვლილ ამხანაგებმა გამოიწერონ შემდეგი ჟურნალ გაზეთები:

პირველი. ჟურნალი „კავკასიონი“.
მეორე გაზ. „ზარია ვასტოკა“
მესამე „ „ბარიკადი“
მეოთხე ჟურ. „ოგონიოკი“
მეხუთე „ „ახალგ. ლენინელი“
მეექვსე „ „ნიანგი“
მეშვიდე და მერვე ეგნატე ნინოშვილის ყველა ტომები. იმედია, რომ ზემო ჩამოთვლილ ჟურნალ-გაზეთებს მოკლე ხანში მიიღებს ჩვენი კუთხე.

„ლენინის კუთხის“ მართველ კომისიის თავჯდომარე: კურ. **ასათიანი**

## ჩვენი კედლის გაზეთი.

„წითელი ვარსკვლავი“ № 4 (ორგანო მე-2 ესკადრონის საკავშირო ჯგუფის და მე-2 კომუჯრედისა).

ჩვენ გვქონდა ამის წინა ნომრებზე ბიბლიოგრაფიები და გამომცემლებს არ ვიცით რატომ არ მიუქცევიათ ყურადღება; იქ ნაჩვენები ნაკლი რომ გამოესწორებინათ—უკეთესი იქნებოდა.

ეს ნომერიც ისევე, როგორც წინა ნომრები, სრულიად უვარგის ქაღალდზეა ნაწერი ფანქარით და ძნელი წასაკითხია.

წერილები (პარიზის კომუნა, რაზე გვწერენ? რუსეთის ისტორია და სხვა) კარგია, და ლექსებს (სინათლის სივრცე, ჩემი მოგონება) არა უჭირს-რა, მხოლოდ გაშალაშინება უნდა, რაც სარედაქციო კოლეგიამ შემდეგისთვის უნდა გამოასწოროს.

ამავე ნომერში საინტერესო გასართობია—რებუსი, მაგრამ, წითელ არმიელთათვის მისი გამოყვანა ძნელია. უფრო სადა გასართობია საჭირო.

კარგია პაწია სურათები „ამომავალი მზე“ და ყუმბარის აფეთქება, საიდანაც ისვრის, ავარვარებულ ცეცხლის ალით, წითელ ვარსკვლავებში აკინძულ ჩაქუჩ ნამგლებს.

გაზეთში მოთავსებულ მასალების ავტორებს ეტყობათ ნიჭი და უნდა გამოყენებულ იქნას შესაფერისად.

საჭიროა კარგი ქაღალდი მელნით და გარკვეულ ხელით ნაწერი, რომ სილამაზით მიიზიდოს თვალი.

ველით გაუმჯობესებულ გამოცემას.

**სანი.**

# პარტიული ცხოვრება.

## მე-7-დე ქარ. გაერ. მეთ. სამხ. სკოლაში.

პარასკევს, 18 აპრილს, მოხდა კომუჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო უპარტიო კურსანტები და უფ-შემადგენლობა. მორიგ თავმჯდომარეთ იყო კურს. წოწორია, მდივნად ლაითაძე. დღის წესრიგი იყო შემდეგი:

1) საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა.

2) ლენინი და ახალგაზრდობა.

3) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს კურსანტი გიო ყურაშვილი. ამხ. მომხსენებელმა თავისი მოხსენება დაიწყო შემდეგი სიტყვებით: რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მსოფლიო პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის თავდადებული ბელადი მოგვიკვდა. ის ცდილობდა განთავისუფლებია ის კუთხეები, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს კაპიტალიზმი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივისცეთ ამხ. ილიჩის ხსოვნას. ყველა ფეხზე სდგებიან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობას, თუ რა პირობებში უხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას ეკონომიურ კრიზისის გადატანა 17 წ. 21 წლამდე, აღნიშნა ის, თუ რა როლი ითამაშა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ რომლის იდეია ეკუთვნის ამხ. ილიჩს. მოჰყავს, დაწვრილებითი ცნობები თუ რამდენათ განვითარდა წარმოება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ. აღნიშნა ისიც, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით საბჭოთა ხელისუფლებას არ გადუდგამს ნაბიჯი უკან.

შეეხო აგრეთვე ფულის რეფორმასაც. აღნიშნა მისი მნიშვნელობაც სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. გავიხსენოთ, თუ რას გვეუბნებოდა ილიჩი ჩვენ გლეხობაში უცოდინარობის მოსპობაზე.

მომხსენებელმა ბევრი რამ საინტერესო სთქვა. უკანასკნელ სიტყვებში აღნიშნავს თუ როგორი დახმარება უნდა გაუწიოთ ჩვენ გლეხობას. ეს იქნება კოოპერაციის იდეის გავრცელება სოფლებში..

შემდეგ გამოდის თანამომხსენებლად ამხ. ლაპატინი, რომელიც ჯამს უკეთებს მოხსენებას და მოუწოდებს კურსანტებს მტკიცეთ დაიცვან ის მოვალეობა, რომელიც მათ დაავალა კომუნისტურმა პარტიამ მშრომელი ხალხის წინაშე.

შემდეგ გამოდის ამხანაგი მირიტაძე და ლაპარაკობს ახალ გაზრდა ლენინელებზე, ის ეხება თუ როგორი თვალსაზრისით უყურებდა ლენინი ახალგაზრდობას და რას ავალებდა მათ არა ამ რევოლიუციონურ ხანაში, არამედ 1903 წელში და მის შემდეგ.

მოხსენებელი უკანასკნელ სიტყვაში ამბობს, რომ ჩვენ მოვალეობას შეადგენს, როგორც ლენინელების, შესწავლა ლენინიზმის, ლენინელის სახელის მატარებელმა უნდა იცოდეს ვინ იყო ლენინი და რისთვის იბრძოდა იგი თავ-დადებით.

ორივე მოხსენებაზე შესაფერისი რეზოლიუცია იქნა მიღებული, რის შემდეგ კრება დაიხურა.

სამხკორი: ა. ჭკადუა.

### მეორე ლეგიონში.

7 აპრილს შესდგა მეორე ლეგიონის საერთო პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო კომუნმეურნეების და ტვირთმზიდავ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ოლ. უბულავა, მდივნობდა ამხ. მელქაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. კომპარტიის ამოცანა სოფლად და გამოსათხოვარი „ნაკაზი“-ს განხილვა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ჭანიშვილმა, რომელიც ვრცლად შეეხო კომპარტიის მოვალეობას სოფლად და მას, თუ რა უნდა აკეთონ ჯარიდან დაბრუნებულებმა პარტიულ ამხანაგებმა სოფლებში. აგრეთვე გარკვეულად და სწორედ მისცა ნაკაზი ყველას შესასრულებლად.

მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჭანიშვილისა, კომპარტიის მოვალეობის შესახებ სოფლად, ყველა ჩვენგანი ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს, რათა ხელი შეუწყოთ სასოფლო მეურნეობის გაჯანსაღებას.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს მივსცეთ გლეხობას ახსნა-განმარტება თუ რას აკეთებს გლეხობისათვის საბჭოთა ხელისუფლება და როგორ უნდა დავეხმაროთ მთავრობას, რათა მან შესძლოს თავის მიზნის მიღწევა.

გლეხების მატერიალურად დახმარებისათვის და მის მეურნეობის აღდგენისათვის საჭიროა კოოპერაცია, რომელიც გლეხობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, განსაკუთრებული ყურადღებას საბჭოთა ხელისუფლება აქცევს „მაკრატლის“ პრობლემას, რაიც დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობის გაჯანსაღებაზე და მუშებისა და გლეხების უფრო მჭიდრო დაკავშირებაზე. ჩვენ აუხსნით გლეხობას, თუ რა არის „მაკრატელი“ და რით არის გამოწვეული ის.

რელიგია, რომლითაც მეფის მთავრობა ბურჟუაზიას აძლევდა საშუალებას ხანგრძლივ ბატონობისას, ამისათვის ყოველივე სისაძაგლეს მიმართავდენ, რომ ეტყუებიათ მუშები და გლეხები ჩვენს ვალდებულებას შეადგენს, რათა სიფრთხილით მოვეპყრათ ამ საკითხს და მივსცეთ გლეხობას განმარტება თუ რა არის რელიგია და ვისთვის იყო სასარგებლო ის. და ჩვენ კი, რომლებიც აქ ვრჩებით, კვლავ გამოვზრდით შეძლებისა დაგვარათ ახალწვეულებს, როგორც პოლიტიკურ ისე სამხედრო საქმეში, რათა მომავალში თქვენთან ერთად ჩავსცეთ ლახვარი ჩვენს მტერს.

მეორე საკითხზე გამოსათხოვარ სიტყვებს ამბობს ორივე მხარე, როგორც წამსვლელი ისე დარჩენილნი, რომლებიც ფიცს სდებენ ერთი მეორეს წინაშე, რომ უკანასკნელად სისხლის წვეთამდე აასრულებენ პარტიის დავალებებს.

დაადგინეს: პარტიულ დარგში არ დავზოგავთ ჩვენს ენერგიას, რათა კომპარტიამ, მებაირაღტრემ მსოფლიო რევოლიუციისამ, დააგვირგვინოს რევოლიუციის მონაპოვარი.

მეორე ლეგიონის პასუხისმგებელი სამხკორი: **შ. მელქაძე.**

## ქართული დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში.

**19 აპრილს გარჩეული საქმეები.**

**ადუაშვილის და პეტუაშვილის საქმე.**

ადუაშვილი და პეტუაშვილი, მესამე ლეგიონის წითელ არმიელები არიან. ორივენი ერთი სოფლიდან არიან და ერთად მსახურებდნენ ჯარშიც. მათ არ დაუცადეს შეუვსულების რიგს და 1922 წელს ერთი ნოემბერში და მეორე დეკემბერში გაიპარნენ სახლში. ორი თვის შემდეგ ისინი დააპატიმრეს და მისცეს პასუხისგებაში დეზერტირობისათვის.

რევტრიბუნალმა მათ მიუსაჯა, თითოს ექვს-ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და ორ-ორი მანეთის ქონების ჩამორთმევა. მაგრამ რევტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულების უვიცობა და სასჯელი შეუცვალა პირობით სასჯელით ორი წლის საცდელი ვადის განმავლობაში და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

**ოსკანოვის საქმე.**

ცხენოსან ლეგიონის წითელი არმიელი ალექსანდრე ოსკანოვი შემოდგომაზე გაგზავნეს ნაწილიდან სატრანსპორტო ეშელონში კურსების გასავლელად, საიდანაც გაიქცა სახლში. რამოდენიმე ხნის შემდეგ იგი დააპატიმრეს და კვლავ მოიყვანეს ნაწილში, მაგრამ მან მიიღო თუ არა სახაზინო ტანისამოსი ხელმეორედ გაიპარა და თან გაიტაცა სახაზინო ტანისამოსი. ხელმეორედ დაპატიმრებისას აღმოჩნდა, რომ სახაზინო ქონება მას, ნაწილი გაუყიდნია და ნაწილი გაუფლანგავს. საზოგადოთ იგი თავის სამსახურს ნაწილში ასრულებდა გულ-გრილად და ცუდად.

აღნიშნული ბრალდებანი ტრიბუნალმა აღიარა დამტკიცებულად და მიუსაჯა ბრალდებულ ოსკანოვს 5 წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 100 მანეთის ქონების კონფისკაცია.

მაგრამ, რადგანაც ბრალდებულმა აღიარა ყველა თავისი შეცდომები და ითხოვა პატიება, იმ პირობით რომ მომავალში იგი პატიოსნათ იმსახურებს წითელ არმიაში, ამიტომ ტრიბუნალმა შეუცვალა მას სასჯელი სამი წლის საცდელი ვადით და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

**ავაქოვის საქმე.**

ავაქოვი მსახურებდა ცხენოსან ლეგიონში სამხ. ორკესტრში მემუსიკეთ. მას წარდგენილი ჰქონდა ორგვარი ბრალდება. 1-ლი, რომ ჩაიდინა დეზერტირობა და მეორე. რომ გაფლანგა სახაზინო ტანსაცმელი.

პირველი ბრალდება, ტრიბუნალმა მოხსნა საკმაო დამამტკიცებელ საბუთების უქონლობის გამო, ხოლო მეორე ბრალდება, სახაზინო ტანსაცმელის გაფლანგვის შესახებ, აღიარა დამტკიცებულათ.

ავაქოვს მიუსაჯეს ექვსი თვე გამასწ. სახლში მოთავსება, მაგრამ ბრალდებულის სოციალური მდგომარეობის გამო სასჯელი შეეცვალა ორი წლის საცდელი ვადის პირობითი სასჯელით.

## წითელ-არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტარინარო დარგიდან.

(გაგრძელება)

**საპით ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი.**

სიდან წარმოსდგება „საპით“ ავადმყოფობა, რა ჰქონის მას?? ამ კითხვებზე 1882 წლამდე ნამდვილი გადაწყვეტილი პასუხი არც ერთს მეც-

ნიერს არ მოუცია; დაკვირვებითი, გამოცდილებითი საშუალებებით კი დამტკიცებული იყო, რომ ცხენის ნესტოებიდან წარმომდინარე შედეგდებული, ქვითელი ფერის ლორწო (ჩვენებურად „წვინტლი“) თუ მოხვდება საღ ცხენის ნესტოს, მაშინათვე ის საღი ცხენი ავად გახდება იმავე ნიშნებით, რა ნიშნებითაც ავად იყო ჩირქიანი ლორწოს მქონე ცხენი. აქიდან გადამდები ხასიათი აღნიშნული ავადმყოფობისა უდაო შეიქნა.

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, არსებობდა ისეთი მიმართულებაც (მაგ. ალფორტის უმაღლესი სავეტერინარო სკოლა), რომელიც ამტკიცებდა, რომ „საპი“ ჩნდება თავის-თავად ცხენის მეორე ავადმყოფობისაგან—სახელდ. „Мыт“—საგან, რომელსაც ქართულად ეწოდება „ქოთაო“. აქედან წარმოსდგება შეცდომითი სახელი „ქოთაო“, რომლითაც ნათლავენ ზოგიერთები „საპს“; ნამდვილად კი „საპს“ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „Мыт“-თან; ეს უკანასკნელი უბრალო „ყბა-ყურას“ წარმოადგენს და ხვედრია ახალგაზრდა კვიცებისა—3—4 წლამდე; საპი კი —რთული და მასთან სასტიკი ავადმყოფობაა, რომლითაც ავად ხდებიან მომეტებულ ნაწილად, ხნიერი ცხენები და მასთან ეს ავადმყოფობა გადადის ადამიანზედაც. ალფორტის სავეტერინარო სკოლის შეხედულებამ „საპზე“ ისეთი გავლენა იქონია საფრანგეთში, რომ ამ სენის წინააღმდეგ არავითარ დასაცავ საშუალებებს აღარ ღებულობდნენ, რასაც მოჰყვა შედეგად—დიდი რიცხვი ცხენების დაავადმყოფებისა და მათი გაჟლეტისა და ადამიანის მრავალი მსხვერპლიც. ზოგნი მეცნიერნი საპსა და ჭლექს ერთსა და იმავე ავადმყოფობად აღიარებდნენ და ბევრი მათგანი კი—სხვა და სხვა ავადმყოფობად; მხოლოდ 1837 წელში, როდესაც გერმანელმა მეცნიერმა ბაუერმა უტყუარად დაამტკიცა „საპის“ გადამდები ხასიათი ადამიანზედაც, იგი კაცობრიობის საშიშარ სენად იცნეს და დამცველ საშუალებების ძებნის გარდა, მისი მთავარი გამომწვევი მიზეზის ძებნას—კვლევას შეუდგნენ. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1882 წელს, იგივე გერმანიის მეცნიერებმა, ლაიფლერმა და შულცმა შესძლეს „საპის“ ბაცილების პოვნა და აქედან—საპის გადამდები ხასიათი უდავო კითხვად იყო აღიარებული განათლებული კაცობრიობის მიერ.

საპი ყველაზე უფრო ადვილად ეყრება ცხენს, შემდეგ—ვირს, ჯორს, ჯორ-ცხენას, ადამიანს, კატას, ძაღლს, მინდვრის თაგვს, მგელს, ლომს, ვეფხვს და სხვა ცხოველებს, გარდა რქოსან—მღეჭავ (жвачныя) საქონელისა.

ბასრი.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

# ახალი ამბები

— „ევკოგრუზი“-ს ყრილობა. ა. წ. აპრილის 28-ს თფილისში მოწვეულია ქართ. დივ. მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების მესამე ყრილობა, რომელიც გაიხსნება წით. არმიელთა ცენტ. კლუბში.

— დახმარება შეფისგან. ქალაქის აღმასკომმა გადასცა, თავის შეფობის ქვეშ მყოფ ქართ. სამხ. სკოლას 600 მანეთი.

— წამლების დასამზადებლათ სოც. უზრ. კომისარიატმა წინადადებით მიმართა სათანადო ორგანოებს, რათა მათ შეადგინონ სია იმ მცენარეთა, რომელნიც გამოდგებიან წამლების დასამზადებლათ. მცენარეებს შეაგროვებენ გლეხკომები.

— სკოლის ასაგებათ. სოფ. მეჯვრის-ხევში სკოლის ასაგებათ ქალაქის აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

— გადასახადი წყალზე. 1-ლი აპრილიდან წყალზე შემოღებულია ახალი ფასი. ამის გამო ხდება მცხოვრებთა ახალი დაყოფა ხარისხებათ.

— არხების გაყვანა. ამჟამათ ქალაქის აღმასკომის ინიციატივით გაყავთ ხუდადოვის რაიონში კანალიზაცია.

— ჰაეროპლანებით მიმოფრენისთვის. საქართველოს საზღვრებში მოეწყობა 11 მოედანი ჰაეროპლანების საფრენათ.

— სამუშაოზე გაგზავნა. 21 აპრილს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 96 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 64.

— ქვაფენილების კეთება. კარგი ამინდების დადგომის გამო, შეუდგნენ თფილისის ქუჩების ქვაფენილებით მოგებას. მუშაობა უკვე დაიწყეს ნაძალადევის მუშათა უბანში.

# ხელოვნება.

— ახლი მოთხრობა. დაიბეჭდა და იყიდება ივ. გომართელის მოთხრობა „ნიგვზარეთის ღვთისმშობელი.“

— კომკავშირის კლუბი. ახალგ. კომკავშირის კლუბთან დაარსდა სალიტერატურო წრე და ქართ. ენის კურსები.

— ორკესტრის საღამო. მოკლე ხანში გაიმართება 1-ლი ლეგიონის სამხ. ორკესტრის სამი წლის არსებობის საპატივსაცემო საღამო.

— ახალი დრამ. წრე. ცენტ. წით. არმ. კლუბთან დაარსდა ვლ. ალექსი—მესხიშვილის სახელობის დრამატ. წრე.

## დღეს თეატრებში.

ოპერა—აბესალომ და ეთერი.

დრამა—სომხური წარმოდგენა.

სახ. სახლი—რუსული წარმოდგენა.

ცირკი—საღამოს წარმოდგენა.

# სამეურნეო განყოფილება.

## ყალბი თაფლის გამოცნობა.

გემრიელი ბუნებრივი თაფლი ძალიან მარგებელია ადამიანისათვის, ხშირათ მას ხმარობენ როგორც წამალს.

ბუნებრივი თაფლი მაწყინარი იშვიათად გამოდის. არის ხოლმე ზოგიერთ კუთხეებში ეგრეთ წოდებული მათრობელა თაფლი, რომლის მიზეზათ სთვლიან ბკერისა და იელის ყვავილებს, ასეთი თაფლი იშვიათად გვხვდება და მისი ცუდი თვისებების წინააღმდეგ არსებობს საშუალება.

მათრობელა თაფლს რამოდენიმეჯერ გადაადუღებენ, რის შემდეგაც ის სრულიათ უწყინარი ხდება.

ჩვეულებრივათ კარგი თვისების თაფლის დამახასიათებელია თავისებური საამური სუნი, გემო და ფერი.

ბუნებრივ თაფლის სისქე ცვალებადია. ფიჭიდან ახლათ ამოღებული თაფლი თხელია, შიგ მყოფი წყალი თანდათანობით შრება და თაფლიც სქელდება.

ბოლოს ის სულ ჩასქელდება.

ჩარჩები ხშირათ ჰყიდიან ყალბ თაფლს. ყალბ თაფლს ნაკლები სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის და ხშირათ საწამლავიც არის, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ყალბი თაფლის გამოცნობა. თაფლს აყალბებენ სხვა და სხვა ფხვნილებით და როცა ის გასქელდება წყალს ურევენ, რომ სიყალბე არ დაეტყოს. ხმარობენ კარტოფილის ფქვილს, შაქრის, ცარცს და თეთრი პურის ფქვილს.

გარეგნულათ ყალბი თაფლის გამოცნობა შეუჩვეველ ადამიანისათვის ძნელია. ყალბი თაფლი მალე ფუჭდება. ბუნებრივი თაფლი კი, კარგათ შენახული თავის სურნელოვნებას და გემოვნება ფერს იშვიათად ჰკარგავს.

ბუნებრივი თაფლი სუფთა და გამჭვირვალეა; შიგ ვერ დაინახავთ ვერავითარ ნამცეცებს.

ფქვილით გაყალბებულ თაფლს თუ მზეში გავხედავთ აშკარათ შევამჩნევთ მრავალ ნაწილაკებს, რაც თაფლს მღვრიე ფერს აძლევს.

ადვილია ყალბი თაფლის გამოცნობა ცხელი—სუფთა წყლით.

ცხელ წყალში ბუნებრივი თაფლი სრულიად იხსნება. თუ კი თაფლი ყალბია მაშინ ჭურჭლის ძირზე ილექება ის ნივთიერება, რომლითაც ის გააყალბეს.

მეურნე.

# ქართულ მსროლელ დივიზიის მასწავლებელთა მე-3-მე კონფერენცია.

(გაგრძელება)

**მოხსენება ამხ. ნადირაძის სასკოლო მუშაობის შესახებ.**

ამხ. ნადირაძე აღნიშნავს, რომ სასკოლო მუშაობას წინ ეღობებოდა მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებანი. ის ვრცლად ეხება 22 წ. მუშაობას. შემდეგ ეხება საალმრიცხველო სამეულების მუშაობას. მოჰყავს ამ კომისიის მუშაობის საერთო ჯამი, საიდგანაც სჩანს, რომ 1901 წელში დაბადებულთა მობილიზაციას მოუცია 1800 წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელი; აღნიშნავს მასწავლებელთა შტატის სიმცირეს და ამასთან ერთად იმას თუ რა იყო მიზეზი რომ აგვისტოში არ მოხდა პირველი რიგის გამოშვება, მაგრამ ზოგიერთ ნაწილებში, მაგ. მე-2-ე და მე-3-ე ლეგიონებში ისე, როგორც დივსკოლაში ჩატარდა წ.—კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია სრული 100 პროც. შემდეგმა აღრიცხვამ კიდევ საკმაო რიცხვი წითელ არმიელთა მოგვცა. სრულიად კი დივიზიის ფარგლებში წერა-კითხვა შეისწავლეს 1350 წითელ-არმიელმა. დანარჩენი წითელ არმიელები გამოცდაზე არ გამოცხადებულან.

გარდა წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა სასკოლო სექცია აწარმოებდა მეტრიული საზომის შესწავლას. აქაც ჩვენ მივაღწიეთ სასურველ შედეგს: ეს სისტემა შევასწავლეთ, როგორც წითელ არმიელებს, ისე უფ და პოლიტშემადგენლობას. შემდეგ ამისა ამხ. ნადირაძე აღნიშნავს ტფილისის გარნიზონის მასწავლებელთა გაერთიანებულ მუშაობას ამხ. თალაკვაძის და მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც მუშავდებოდა სწავლების გეგმა, სანიმუშო გაკვეთილები და სხვა და სხვა.

აგრეთვე სასკოლო სექციის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქმნა მრავალი ექსკურსები სხვა და სხვა ხასიათის.

საკმაოთ ვრცელ მოხსენებას ამხ. თალაკვაძემ დაუმატა კიდევ, რომ გასული წლის შემოდგომაზე ტფილისში მოწყობილი იყო მასწავლებელთათვის პრაქტიკული კურსები, სადაც იკითხებოდა ლექციები და ტარდებოდა სანიმუშო გაკვეთილები; სკოლის გარეშე განათლების სახლშიც. ჩვენი მასწავლებლები ისმენდენ ლექციებს, სანიმუშო გაკვეთილებს. გარდა ამისა ამა წლის თებერვლის თვეში ჩვენი მასწავლებლებ სათვის მასწავლებელთა კავშირმა როგორც წითელი ჯარის შეფმა მოაწყო მოკლე ვადიანი ბუნების მეტყველების კურსი, სადაც პრაქტიკული ცდის საშვალებით პროფესორი თვალჭრელიძე, ელჩანინონოვი, პეტრაშევსკაია და სხვები ამაცადინებდენ ჩვენს მასწავლებლებს.

მოხსენების შესახებ მიღებული იქნა ასეთი რეზოლიუცია:

სასკოლო სექციის მუშაობას მასწავლებელთა კონფერენცია სცნობს დამაკმაყოფილებლად და გამოსთქვამს იმედს, რომ ის ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში, იქნება გადალახული.

(შემდეგი იქნება).

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ახალი ცდა მთვარეზე მაშხალის გადასროლის შესახებ.

საზოგადოთ პლანეტებთან რაიმე კავშირის დაჭერის სურვილი იმდენად დიდია ადამიანებში, რომ მიუხედავათ ამ მიმართულებით მრავალჯერ დამარცხებისა, ადამიანი მაინც არ სცხრება და ახლად მოკრებილი ძალებით და ახალი ცდებით უნდა მიაღწიოს მიზანს· უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოს ეს ასედაც მოხდება. ადამიანის მოუსვენარი გონება ამ საზღვრებსაც ადვილათ მიახწევს და სურვილსაც შეისრულებს. ამის დამამტკიცებელია პროფ. ობერტის ცდები და მოსაზრებანი, რომელთა გამოანგარიშებას საფუძვლად უდევს წმინდა მათემატიკური ანალიზი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი.

ეხლა კი მინდა ამერიკელ მეცნიერ რობერტ გოდარდის ცდებზე ვილაპარაკოთ. რობერტ გოდარდი აპირებს მთვარეზე გადაისროლოს მაშხალა, რომელიც იქ გასკდება და ყველა შეამჩნევს. ეს ზღაპარი როდია. ეს მოხდება 1924 წ. 4 ივლის. ყველაფერი წინდაწინვე მათემატიკურად აქვს გამოანგარიშებული გოდარდს· მან შეიმუშავა განსაკუთრებული თვისების ამაფეთქებელი ნივთიერება, რომლითაც უნდა დაიტენოს მისი მაშხალა. გოდარდი დარწმუნებულია, რომ ის ამას შესძლებს. აი როგორ აქვს მოწყობილი თავისი მაშხალა: მაშხალას მან მისცა დასაწყისში მამოძრავებელი დატენილობა უდიდესი ძალისა, რომელიც მისცემს მაშხალას 11.5 ვერსის სიჩქარეს წუთში. შემდეგ მოძრაობას მაშხალა ღებულობს თანდათანობითი დატენილობის მთელი სერიით, რომლებიც ფეთქდებიან სივრცეში და თავისი რეაქციის ძალით მიერეკებიან მაშხალას წინ. სანამ მაშხალას გაუთავდებოდეს თავისი დატენილობა, მანამდე ის გასცდება დედა მიწის მიმზიდველობის არეს და ისევ განაგრძობს თავის გზას და რეაქციის ძალები ეყოფა მოძრაობისათვის მთვარის მიმზიდველობის არეში შესვლამდე. ეს ფანტაზია არ არის, ეს ყველაფერი წინდაწინვე გამოანგარიშებულია. მაშხალაზე თავისი ცდების დროს პროფესორი გოდარდი ხმარობდა ამაფეთქებელ მასალად უკვამლო თოფის წამალს, მაგრამ შემდეგ ის უკუ აგდო და გააუმჯობესა წმინდა ჟანგბადში სითხეების წვის მეთოდი. თუ გოდარდის მაშხალა მიაღწევს მთვარეს, მას ადვილად დაინახავენ დედა მიწიდან. გზა რომლის მიმართულებითაც უნდა იმოძრაოს მაშხალამ წინდაწინვე გამოანგარიშებულია და აღნიშნული რუქაზე, ხოლო მაშხალის მთვარის ზედაპირზე დაცემის მომენტიც დიდი სიზუსტით არის გამოთვლილი. უდიდესი ჭოგრიტები (ტელესკოპი) იქნებიან ამ დროს მთვარის ამ ადგილისაკენ მიმართული. მაშხალის წვეროზე მოთავსებულია მილი, რომელიც თავის მხრივ დატენილია უდიდესი, დამაბრმავებელი სინათლის გამომშვები თოფის წამლით. გოდარდი ჰფიქრობს, რომ მაშხალის აფეთქება მთვარის ზედაპირზე ადვილად დაინახება დედამიწიდან. თუ გოდარდის მოსაზრებანი გამართლდა და მისმა მაშხალამ მართლა შესძლო მთვარეზე გადასვლა, ეს აუცილებლად დიდი ნაბიჯი იქნება წინ პლანეტებთან კავშირის დაჭერაში და 4 ივლისი ახალი ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობაში.

შეიხ.

თანახმად ქარ. დივ. მთლიან მომხმარებელ საზოგადოების „ევკოგრუზის“ გამგეობის პლენუმის დადგენილებისა, სამხედრო კოოპერატიული **მესამე ყრილობა** მოწვეული იქნება ამა წლის **28 აპრილს** დილის 10 საათზე.

ყრილობის დღის წესრიგისათვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში;
2. შინა-ვაჭრობა და კოოპერაცია.
3. წესდების შესწორება.
4. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. მიმდინარე საკითხები.

ქარ. დივ. მთლიან მომხ. საზ. გამგეობა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.